

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბლექსი-2009

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

ქ. ზუგდიდი

2018 წ.

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
2018 წ.

ამონაგები	3	2002548
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1694955)
საერთო მოგება		307592
სხვა შემოსავალი	4	5400
კომერციული დანახარჯები		(5508)
ადმინისტრაციული ხარჯები		(406168)
სხვა ხარჯები	5	(26181)
ფინანსური დანახარჯები		(64814)
მოგება		(189679)
დაბეგვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი		
მიმდინარე წლის მოგება		(189679)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		
დივიდენდის გაცემა გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		4595

დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2018 წ.
ამონაგები	3	2002548
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1694955)
საერთო მოგება		307592
სხვა შემოსავალი	4	5400
კომერციული დანახარჯები		(5508)
ადმინისტრაციული ხარჯები		(406168)
სხვა ხარჯები	5	(26181)
ფინანსური დანახარჯები		(64814)
მოგება		(189679)
დაბეგვრამდე მოგების		
გადასახადის ხარჯი		
მიმდინარე წლის მოგება		(189679)
გაუნაწილებელი მოგება წლის		
დასაწყისში		194274.26
დივიდენდის გაცემა		
გაუნაწილებელი მოგება წლის		4595
ბოლოს		



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები		31.12.2018წ	31.12.2017წ
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1760540	1822585
გრძელვადიანი ინვესტიციები		0	0
საინვესტიციო ქონება		0	0
არამატერიალური აქტივები		1300	198
გაცემული სესხები		0	0
ბიოლოგიური აქტივი		0	0
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		1761840	1822783
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	136211	314225
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	66821	299514
სასესხო მოთხოვნები		0	0
მოკლევადიანი ინვესტიციები		0	0
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		0	0
ფულადი სახსრები და ექვივალენტები		32658	31801
სულ მიმდინარე აქტივები		235690	645540
სულ აქტივები:		1997530	2468323
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1002724	1141818
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		194274	194274
მიმდინარე წლის მოგება_ზარალი		(189679)	0

რეზერვები		0		0
სულ საკუთარი კაპიტალი		1007319		1336092
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულებები		0		0
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე		0		0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		0		0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0		0
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა	9	101136		2103
ვალდებულებები მიმდინარე სასესხო		824133		1060766
ვალდებულებები საგადასახადო		64943		69362
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		0		0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები				
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		990211		1132230
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1997530		2468323

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტუები		31.12.2018წ	31.12.2017წ
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითად საშუალებები	6	1760540	1822585
გრძელვადიანი ინვესტიციები		0	0
საინვესტიციო ქონება		0	0
არამატერიალური აქტივები		1300	198
გაცემული სესხები		0	0
ბიოლოგიური აქტივი		0	0
სხვა გრძელვადიანი მოხონებები		0	0
სულგრძელვადიანი აქტივები		1761840	1822783
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფსევულები	7	136211	314225
სავაჭროდ სხვა მოხონებები	8	66821	299514
სასესხომოხონებები		0	0
მოკლევადიანი ინვესტიციები		0	0
სხვა მოკლევადიანი მოხონებები		0	0
ფულად სახსრები და ექვივალენტები		32658	31801
სულმიმდინარე აქტივები		235690	645540
სულაქტივები:		1997530	2468323
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებოკაპიტალი		1002724	1141818
გაუნაწილებელ მოგება_ზარალი		194274	194274
მიმდინარე წლის მოგება_ზარალი		(189679)	0
რეზერვები		0	0
სულსაკუთარი კაპიტალი		1007319	1336092

გრძელვადიანი ვალდებულებები



სასესხო ვალდებულებები	0	0
ვალდებულებები ფინანსურ იჭრაზე	0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
სულგრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭროდ სხვა		
ვალდებულებები	9 101136	2103
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	824133	1060766
საგადასახადო ვალდებულებები	64943	69362
ვალდებულებები პერსონალს წინაშე	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		
სულმოკლევადიანი ვალდებულებები	990211	1132230
სულსაკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1997530	2468323

დირექტორი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბლექ სი-2009 არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი რეგისტრირებულია საქართველოში. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ზუგდიდის რაიონი, სოფელი ჭითაწყარი, ვაჟაფშაველას ქ., N55. საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა გაფუჭებული თხილის გულის გადამუშავება, რომლის პროდუქტია თხილის ფქვილი, თხილის ნედლი ზეთი და თხილის ცხიმოვანი ნაჩენი. საწარმო გადასამუშავებელ ნედლეულს იძენს საქართველოში ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთეულამდე სიზუსტით.

საწარმომ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მყიდველისაგან ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობები	2 პროცენტი
მანქანა-დანადგარები	10 პროცენტი
კავშირგაბმულობის მოწყობილობა	20 პროცენტი
ოფისის აღჭურვილობა	20 პროცენტი

ავეჯი და სხვა ინვენტარი
ავტომატები
სხვა ძირ საშუალება

20 პროცენტი
20 პროცენტი
5 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება მარაგის გაუფასურება, რისთვისაც მარაგის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა

და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგი

მარაგის აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ამონაგები

	დასახელება	2018 წელი
1	საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები;	1999680
2	კვების მიწოდება	
	სულ ამონაგები	2002548

4. სხვა შემოსავლები

	დასახელება	2018 წელი
1	იჯარა	98882
	ჯამი:	98882

5. სხვა ხარჯები

	დასახელება	2018 წელი
1	კონვერტაცია	
3	კურსთაშორის სხვაობა	
	ჯამი:	26,181

6. ძირითადი საშუალებები

	დასახელება	მიწის ნაკვეთი	ძირითადი საშუალება	სულ
	საწყისი (ისტორიული) ღირებულება			
	ნაშთი: 31.12.2017			<u>2020605</u>
	აქტივების შეძენა		1220	<u>1220</u>
	აქტივების გასვლა			<u>0</u>

ნაშთი: 31.12.2018	<u>37567</u>	<u>1984258</u>	<u>2021825</u>
აღიარებული ცვეთა			
ნაშთი: 31.12.2017	0	198020	<u>198020</u>
ცვეთის დარიცხვა		63265	<u>63265</u>
ცვეთის ჩამოწერა			<u>0</u>
ნაშთი: 31.12.2018	<u>0</u>	<u>261285.15</u>	<u>261285</u>
საბალანსო ღირებულება			
12/31/2017	<u>37567</u>	1785018	<u>1822585</u>
12/31/2018	<u>37567</u>	1722973	<u>1760540</u>

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	დასახელება	31.12.2018	31.12.2017
1	წედლეული და მასალები		
2	მზა პროდუქცია		
3	სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	0	
	ჯამი	136211.23	314224.57

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	დასახელება	31.12.2018	31.12.2017
1	სავაჭრო მოთხოვნები	3,186	273798.07
2	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	27,289	
3	გადახდილი ავანსები	36345	25716
	ჯამი:	<u>66,821</u>	<u>299,514</u>

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	დასახელება	31.12.2018	31.12.2017
1	სავაჭრო ვალდებულება	44554.87	2102.79
2	მიღებული ავანსები	56580.8	
	ჯამი:	<u>101,136</u>	<u>2,103</u>

10. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საწარმოს დაკავშირებული მხარე იურიდიული პირი არ გააჩნია.

11. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის გასამრჯელო

ქვემოთ მოტანილია ინფორმაცია საწარმოს დამფუძნებელი-დირექტორის გასამრჯელოების შესახებ

		2018 წელი
ჯამალ ეროდლუ	ხელფასი	61736

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 30 ოქტომბერს.